



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 168

თბილისი

11 03 2010 წ.

2010 წლის მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მათემატიკისა და პროფესიული უნარების საგამოცდო პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „2010 წლის მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მათემატიკისა და პროფესიული უნარების საგამოცდო პროგრამები“ დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



დირექტორი შაშკინი

Handwritten signature

# 2010 წლის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საგამოცდო პროგრამა ეფუძნება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 21 ნოემბერის ბრძანებით დამტკიცებულ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს

## ნაწილი I. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

### ა) ქართული ენა

#### I. შესავალი

1. ქართული ენა როგორც ქართველი ერის საერთო ეროვნული ენა და საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.
2. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებისა და მწიგნობრობის განვითარების ძირითადი ეტაპები. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებად დაყოფის პრობლემა. ანტონ I და ქართული სალიტერატურო ენა. სამოციანელთა როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში; თაობათა და შეხედულებათა ბრძოლა სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებზე.
3. თანამედროვე სალიტერატურო ქართული როგორც მრავალფუნქციური სახელმწიფო ენა – სრულფასოვანი კომუნიკაციის, მწერლობისა და მეცნიერების ენა.
4. ქართული სალიტერატურო ენა და ეროვნული ენა. ქართული ენის დიალექტები და სხვა ენობრივი ქვესისტემები – ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო და ენობრივ ვარიანტულობათა ძირითადი მიზეზი. ნორმათა დადგენის პრინციპები. ნორმატიული მუშაობის დღევანდელი მდგომარეობა.

#### II. ფონეტიკა

5. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფონემური სტრუქტურა. ბგერა და ფონემა. ანბანი. ხმარებიდან გასული ასოები. ხმოვნები და თანხმოვნები. ხმოვანთა კლასიფიკაცია. თანხმოვანთა კლასიფიკაცია.
6. მარცვალი. ღია და დახურული მარცვალი. დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები ქართულში.
7. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.
8. სიტყვისა და ფრაზის მახვილის საკითხი ქართულ სალიტერატურო ენაში.

#### III. მორფოლოგია

9. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა (აფიქსები). აფიქსთა კლასიფიკაცია.
10. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია.
11. არსებითი სახელი – არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. არსებით სახელთა ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბრუნვათა რიგი. ბრუნების ტიპები და მათი გამოყოფის საფუძველი. ბოლოთანხმოვნიან და ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნება. საკუთარ სახელთა ბრუნება. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. თანდებულიანი ბრუნვები. ადგილობითი (ლოკალური) ბრუნვების საკითხი. ნაწილაკიანი ბრუნვები.
12. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

13. ზედსართავი სახელი. მისი მნიშვნელობა და ფუნქცია. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და შებრუნებული წყობით. ნათესაობითში დასმული სახელის ბრუნება არსებით სახელთან პირდაპირი და შებრუნებული წყობით.
14. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
15. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობის მიხედვით. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი და მისი ბრუნება.
16. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
17. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება.
18. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
19. ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. პირის რომლობა, როგორობა. პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. პირთა კომბინაციები. სუბიექტური და ობიექტური წყობა. ინვერსია და მისი საფუძველი. ზმნისწინი. მისი ადგილი და ფუნქციები. ზმნისწინის მარტივი და რთული სახეები. ზმნისწინის ძველი სახით ხმარება. უზმნისწინო ზმნები. დრო. გეზისა და ორიენტაციის საკითხი. კილო. ასპექტი. გზისობა. გარდამავლობა. დინამიკურობა-სტატიკურობა. გვარი. კონვერსია. ქცევა. გარდამავლობა და ქცევა. ქცევანაკლი ზმნები. კონტაქტი. კონტაქტი და გარდამავლობა. მწკრივი. მწკრივთა რაოდენობა და კლასიფიკაცია სერიათა მიხედვით. სერიებად დაყოფის საფუძველი. ზმნის ძირი, ფუძე და თემა. თემის ნიშნები. ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები. თავისებური ზმნები. უღვლილება. ზმნის უღვლილება სამივე სერიაში სუბიექტ-ობიექტის ცვლით ყველა პირსა და რიცხვში. ორპირიანი გარდაუვალი და ერთპირიანი ზმნების უღვლილება III სერიაში.
20. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები, შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა.
21. სახელზმნა: საწყისი და მიმდებარე. საწყისის (მასდარის) წარმოება. მიმდებარეთა წარმოება. საწყისში და მიმდებარეში შემავალი ზმნის კატეგორიები. საწყისი და მიმდებარე როგორც სახელი.
22. ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება ფუნქციის (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა) და ფორმის მიხედვით. ზმნიზედის მართლწერა.
23. თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.
24. კავშირი. კავშირის სახეები. მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.
25. შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.
26. ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.

#### IV. სინტაქსი

27. სინტაქსი როგორც გრამატიკის დარგი. სინტაქსის საგანი.
28. წინადადება. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული.
29. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. შესიტყვება. წინადადების წევრთა დაწყვილება. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა. ცალმხრივი მართვა. მართვა უშუალო და შუალობითი. მართვისა და შეთანხმების სპეციფიკურობა ქართულში.
30. წინადადების ტიპები რაგვარობის (მოდალობის) მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვა-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
31. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
32. წინადადების წევრები ფუნქციის მხრივ. წინადადების მთავარი (ქვემდებარე, შემასმენელი და პირმიმართი დამატებები) და მეორეხარისხოვანი (უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოებები).
33. წინადადების მთავარი წევრები:
  - ა) შემასმენელი. შემასმენლის განსაზღვრა. შემასმენლის კითხვები. მარტივი (ზმნური) და შედგენილი შემასმენელი. შედგენილი შემასმენლის ტიპები. მეშველი ზმნები.
  - ბ) ქვემდებარე. ქვემდებარე შინაარსისა და ფორმის მიხედვით. სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.

- გ) პირმომართი დამატებები. პირდაპირი და ირიბი დამატება და მათი სპეციფიკურობა ქართულში. სინტაქსური ურთიერთობა პირმომართ დამატებებსა და შემასმენელს შორის.
34. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები:
- ა) უბრალო დამატება. უბრალო დამატების ბრუნვები (უთანდებულო და თანდებულიანი). უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.
  - ბ) განსაზღვრება. შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. არსებითი სახელის გამოყენება განსაზღვრებად (ადიექტივაცია) და პირუკუ, ზედსართავისა – ქვემდებარედ (სუბსტანტივაცია).
  - გ) გარემოება. გარემოებათა კლასიფიკაცია: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებები. ბრუნვის ფორმები (უთანდებულო და თანდებულიანი), როგორც გარემოების გადმოცემის საშუალებები.
35. მარტივი წინადადება. მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით.
36. ერთშემადგენლიანი წინადადება. ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპები. არასრული წინადადების გარჩევა ერთშემადგენლიანი წინადადებისაგან. სახელდებითი წინადადება.
37. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: უკავშირო და კავშირიანი შეერთება. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარებთან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში.
38. სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის.
39. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.
40. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები. მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. ამ სიტყვებთან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.
41. რთული წინადადება. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი).
42. რთული თანწყობილი წინადადება. შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). თანწყობილ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება. სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში.
43. რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები. კითხვის დასმა, მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები. საკორელაციო სიტყვა მთავარ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია სამი ნიშნის (ადგილის, კავშირისა და ფუნქციის) მიხედვით.
44. რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. ქვეწყობის სახეები.
45. სიტყვათა წყობა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირთა, სიტყვათა და საკორელაციო სიტყვათა ადგილი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. სასვენი ნიშნების სახეები და ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
46. შერეული სახის რთული წინადადება.
47. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და პირიქით, მარტივისა – რთულით.
48. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან.
49. სხვათა სიტყვა. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. პირდაპირი ნათქვამის გადაკეთება ირიბად და პირიქით. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის. სასვენი ნიშნის სახეები და ადგილი სხვათა სიტყვაში. სხვათა სიტყვის მართლწერა.
50. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევის შემთხვევები.
51. ორმაგი უარყოფის გამოყენების შემთხვევები.

## V. ლექსიკოლოგია

55. ლექსიკოლოგიის საგანი, მისი ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის. ენობრივი ნიშნის პრობლემა. ლექსიკური ერთეული. ლექსიკა. ლექსიკური ფონდი. ლექსიკოგრაფია.
56. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება და „პოლარიზაცია“. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
57. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.

- გ) პირმომართი დამატებები. პირდაპირი და ირიბი დამატება და მათი სპეციფიკურობა ქართულში. სინტაქსური ურთიერთობა პირმომართ დამატებებსა და შემასმენელს შორის.
34. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები:
- ა) უბრალო დამატება. უბრალო დამატების ბრუნვები (უთანდებულო და თანდებულიანი). უბრალო დამატების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან.
  - ბ) განსაზღვრება. შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები. არსებითი სახელის გამოყენება განსაზღვრებად (ადიექტივაცია) და პირუკუ, ზედსართავისა – ქვემდებარედ (სუბსტანტივაცია).
  - გ) გარემოება. გარემოებათა კლასიფიკაცია: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებები. ბრუნვის ფორმები (უთანდებულო და თანდებულიანი), როგორც გარემოების გადმოცემის საშუალებები.
35. მარტივი წინადადება. მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით.
36. ერთშემადგენლიანი წინადადება. ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპები. არასრული წინადადების გარჩევა ერთშემადგენლიანი წინადადებისაგან. სახელდებითი წინადადება.
37. შერწყმული წინადადება. შერწყმული წინადადების ტიპები. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი: უკავშირო და კავშირიანი შეერთება. შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ერთგვარ ქვემდებარეებთან. ქვემდებარის ბრუნვა სხვადასხვა გვარის ზმნით გადმოცემულ ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში.
38. სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის.
39. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.
40. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები. მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. ამ სიტყვებთან სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.
41. რთული წინადადება. თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი).
42. რთული თანწყობილი წინადადება. შეერთების საშუალებანი (ინტონაცია, მაერთებელი კავშირები). თანწყობილ წინადადებათა აზრობრივი ურთიერთმიმართება. სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში.
43. რთული ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადების გარეგანი და შინაგანი ნიშნები. კითხვის დასმა, მაქვემდებარებელი კავშირები და სიტყვები. საკორელაციო სიტყვა მთავარ წინადადებაში. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია სამი ნიშნის (ადგილის, კავშირისა და ფუნქციის) მიხედვით.
44. რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. ქვეწყობის სახეები.
45. სიტყვათა წყობა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირთა, სიტყვათა და საკორელაციო სიტყვათა ადგილი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში. სასვენი ნიშნების სახეები და ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
46. შერეული სახის რთული წინადადება.
47. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და პირიქით, მარტივისა – რთულით.
48. დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წევრთან.
49. სხვათა სიტყვა. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. პირდაპირი ნათქვამის გადაკეთება ირიბად და პირიქით. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მნიშვნელობა სტილისტიკისათვის. სასვენი ნიშნის სახეები და ადგილი სხვათა სიტყვაში. სხვათა სიტყვის მართლწერა.
50. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევის შემთხვევები.
51. ორმაგი უარყოფის გამოყენების შემთხვევები.

## V. ლექსიკოლოგია

55. ლექსიკოლოგიის საგანი, მისი ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებს შორის. ენობრივი ნიშნის პრობლემა. ლექსიკური ერთეული. ლექსიკა. ლექსიკური ფონდი. ლექსიკოგრაფია.
56. სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება და „პოლარიზაცია“. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
57. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.

58. დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
59. ახალ სიტყვათა წარმოქმნის ძირითადი საშუალებანი. სიტყვაწარმოება როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. აფიქსური სიტყვაწარმოება. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით. ფორმამაწარმოებელი აფიქსები სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. ბრუნვისა და თანდებულიან ბრუნვის ფორმათაგან წარმოქმნილი სახელები. ნასესხები აფიქსები.
60. თხზვა (კომპოზიცია) როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება. რედუქციაცია. კომპოზიტები ფუძეთა შემადგენლობის მიხედვით. ერთცნებიანი და ორცნებიანი კომპოზიტები.
61. კომპოზიტების მართლწერის საკითხები.

## VI. სტილისტიკა

62. სტილისტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი. სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
63. ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი – სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი.
64. პუბლიცისტური და მხატვრული სტილი.
65. სასაუბრო, ორატორული და ეპისტოლარული სტილი.
66. ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით.
67. პარონიმები, ეგზემპლუმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები.
68. სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია.

### სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
5. მარიამ თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1959.
6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
7. ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
8. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
9. ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
10. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1985.
11. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
12. აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
13. არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
14. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950 (ცალკე გამოცემა, თბ., 1998).
15. შოთა ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969; ან: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
16. ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
17. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1995.

### ლექსიკონები

1. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
2. ვარლამ თოფურია, ივანე გვიგინიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
3. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
4. ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1954.

## ბ) ქართული ლიტერატურა

- I. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები: ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, ანდაზა, ასონანსი, აფორიზმი, ბალადა, ბიოგრაფია, განმეორება, გაპიროვნება, გმირი, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, ესე, ზღაპარი, თემა, თქმულება, იგავ-არაკი, იდეა, ინტონაცია, ირონია, იუმორი, კოლიზია, კომედია, კომპოზიცია (კომპოზიციური ელემენტების ჩათვლით), ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, ლიცენცია, მემუარი, მეტაფორა, მითი, მოთხრობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, პეიზაჟი, პერიფრაზი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პოემა, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, ჟანრი, რემარკა, რემინისცენცია, რითმა, რიტმი, რომანი, სატირა, სახე, სიმბოლო, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ტრაგედია, ტროპი, ფაბულა, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.
- II. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები: სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
- III. რეკომენდებულ ავტორთა და ნაწარმოებთა ჩამონათვალი:
1. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია: „ცხოვრება წმიდისა ნინოძისა“, „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, „წამება წმიდისა და ნეტარისა ჰაბოძისა“, „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „ცხოვრება წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“, „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, „გალობანი სინანულისანი“.
  2. კლასიკური ხანის მწერლობა: „ამირანდარეჯანიანი“, „აბღულმესიანი“, „თამარიანი“, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“.
  3. აღორძინების ხანის მწერლობა: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი.
  4. ახალი ქართული ლიტერატურა: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.
  5. უახლესი ქართული ლიტერატურა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკოლორთქიფანიძე, ლეო ქიჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, პოლიკარპე კაკაბაძე, ვალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ლევან გოთუა, გიორგი შატბერაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ოთარ ჩხეიძე, ჯემალ ქარჩხაძე, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი.

### სარეკომენდაციო ლიტერატურა:

#### ა) ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკა

1. კიტა აბაშიძე, გონს მოდით! წიგნში: ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971.
2. კიტა აბაშიძე, XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის, იქვე.
3. იაკობ გოგებაშვილი, ბურჟი ეროვნებისა, წიგნში: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1990.
4. რევაზ ერისთავი, პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1954.
5. ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1961.
6. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, იქვე.
7. ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, იქვე.
8. ვაჟა-ფშაველა, სად არის პოეზია? იქვე.
9. ნიკო ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960.
10. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ., 1991.
11. გრიგოლ რობაქიძე, ვაჟას ენგადი, თბ., 19
12. ქართული ლიტერატურული ესსე (96 ესსე) (შემდგენელი მანანა ხელაია), თბ., 19
13. გერონტი ქიქოძე, ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა, წიგნში: რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1964.
14. გერონტი ქიქოძე, ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან, იქვე.

15. აკაკი წერეთელი, ახირებული ფურცელი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული თხუტმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1960.
16. აკაკი წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, იქვე.
17. გიორგი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 19
18. ილია ჭავჭავაძე, აი ისტორია, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
19. ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, იქვე.
20. ილია ჭავჭავაძე, ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედა, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
21. ილია ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე.
22. ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, იქვე.
23. ილია ჭავჭავაძე, ქვათა დაღადი, იქვე, ტ. VIII, თბ., 1957.
24. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, იქვე, ტ. III, თბ., 1953.
25. არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, წიგნში: წერილები, თბ., 1989.
26. ბარბარე ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, წიგნში: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის... ტ. I, თბ., 19
27. ბარბარე ჯორჯაძე, პასუხს პასუხი, იქვე.

### ბ) სამეცნიერო ლიტერატურა

1. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 19
3. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
4. აკაკი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 2004.
5. ბაჩანა ბრეგვაძე, რუსთაველი და პლატონი, თბ., 19
6. აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1978.
7. მანანა გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
8. ლაურა გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.
9. თამაზ ვასაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, თბ., 200
10. მარიამ თაბორიძე, ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში, თბ., 2000.
11. რევაზ თვარაძე, გადასახედი, თბ., 19
12. გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
13. პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, წიგნში: თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 1963.
14. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, ტ. II, თბ., 1981.
15. კორნელი კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
16. კორნელი კეკელიძე, „წმიდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, იქვე, ტ. II, თბ., 1945.
17. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 19
18. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.
19. გრიგოლ კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
20. ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგნ. I, თბ., 1965.
21. გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
22. ლევან მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.
23. იონა მუხარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, წიგნში: ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954.
24. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
25. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
26. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982.
27. რევაზ სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.



28. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2005.
29. გრივერ ფარულავა, ქართული ჰაგიოგრაფია, კრებულში: „ნათელი ქრისტესი. საქართველო“, ტ. I, თბ., 2003.
30. გრივერ ფარულავა, წმ. გრიგოლ ხანძთელი, იქვე.
31. გერონტი ქიქოძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1965.
32. თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძღვევარი, თბ., 19
33. სარგის ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.
34. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილ, თბ., 19
35. დავით წერეთელი, ანარეკლი.
36. ელგუჯა ხინთიბიძე, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებულში: ივირონი – 1000, თბ., 1983.
37. ნიკოლოზ ჯანაშია, „მუშანიკის წამება“, თბ., 1988.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტების გააზრება, რაც გულისხმობს მხატვრულ ნაწარმოებში გამოკვეთილი სახეების, თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, სიტუაციის, კოლიზიის, ქვეტექსტის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატურ გაგებას; გარდა ამისა, ლირიკული ნაწარმოებების აზრობრივი და ემოციური შინაარსის წვდომას, ტროპის გააზრებას; ესეისტური თუ ლიტერატურისმცოდნეობითი ტექსტების გაგებას, რისთვისაც აუცილებელია ავტორისეული არგუმენტაციის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, მსჯელობის ლოგიკის წვდომა და სამსჯელო საკითხის შესახებ საკუთარი პოზიციის გამოკვეთა.

პედაგოგს მოეთხოვება ლიტერატურულ ტექსტებში ასახული ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდეებისა თუ პრობლემემატიკის ცოდნა; აგრეთვე, უნდა გააჩნდეს, ერთი მხრივ, ლიტერატურულ პროცესზე ეპოქის თავისებურებებისა და, მეორე მხრივ, მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის წვდომის უნარი.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს ერთი და იმავე ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემემატიკის გაანალიზება მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით (სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემებისა და მათი ინტერპრეტაციების ერთმანეთთან შედარება); მსგავსი ან ერთნაირი პრობლემის გაანალიზება სხვადასხვა ქვეყნისა თუ კულტურის წარმომადგენელთა შემოქმედებაში.

იმისათვის, რომ ამგვარ მოთხოვნებს უპასუხოს, მასწავლებელს განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნება, ნაწარმოების შესახებ კრიტიკული, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობისა და ლიტერატურული ტექსტის მონაკვეთებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირების დამყარების უნარი.

**ნაწილი II. საგნობრივი (ქართული ენისა და ლიტერატურის) პედაგოგიური უნარები და სწავლების მეთოდები**

- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნათა ცოდნა;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
- გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
- სწავლების მეთოდის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
- უცნობი ტექსტის გააზრებისა და რეზიუმირების უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერის კულტურა.

## 2010 წლის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა უცხოურ ენებში

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის  
უცხოური ენის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა

### შესავალი

წინამდებარე საგამოცდო პროგრამა ეყრდნობა „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 21 ნოემბერის №1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

საგამოცდო პროგრამა განკუთვნილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც 2010 წელს აპირებენ ჩააბარონ სასერტიფიკაციო გამოცდა უცხოურ ენებში (ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული ენა). გამოცდა ამოწმებს უცხოური ენის მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას - ერთი მხრივ, პედაგოგის ენობრივ კომპეტენციას და, მეორე მხრივ, უცხოური ენის სწავლების მეთოდის ცოდნას.

### ენობრივი კომპეტენცია

პედაგოგთა ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებელი დავალებების სირთულის დონე შეესაბამება ევროსაბჭოს „უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოში“ მითითებულ B2 დონეს. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 42). აღნიშნული დონე შეესაბამება ისეთ საერთაშორისო გამოცდების სირთულის დონეს, როგორცაა, ინგლისური ენის შემთხვევაში, კემბრიჯის პირველი სერტიფიკატი (FCE), გერმანული ენის ინსტიტუტის B2 სერტიფიკატი და ფრანგული ენის DELF-ის B2 დონე. სასერტიფიკაციო გამოცდაზე მოწმდება მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარები, ასევე გრამატიკის ცოდნა და B2 დონის შესატყვისი ლექსიკური მარაგის ცოდნა.

### მიმართულება მოსმენა

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება უშულო კონტაქტში ან მას-მედიაში გამოყენებული ენის გაგება, თუკი საქმე ეხება მისთვის ნაცნობ, მაგრამ ასევე ნაკლებად ნაცნობ თემებს, რომლებსაც, როგორც წესი, პირად, საზოგადოებრივ და სამსახურებრივ ცხოვრებაში ეხედებით. (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, მოსმენა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს

- „გარკვევით, სტანდარტულ ენაზე ჩაწერილი საინფორმაციო აუდიოჩანაწერებისა და ტელერადიო გადაცემების (ინტერვიუ, რეპორტაჟი, სპორტული ანგარიში, ამინდის პროგნოზი, ახალი ამბები და სხვა) გაგება“, (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.დ.);
- ნათქვამის ძირითადი აზრის გაგება, იქნება ეს მოკლე განცხადებები თუ ასევე, შედარებით უფრო ვრცელი, მონოლოგური ხასიათის ტექსტები. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.ა.; ა.ბ.; ა.ე.);
- პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებული ტექსტების გაგება (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ა.ვ.).

### მიმართულება კითხვა

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება შედარებით გრძელი და რთული ტექსტების ძირითადი აზრისა და ცალკეული დეტალების გაგება, იქნება ეს სხვადასხვა თემატიკის მქონე საგაზეთო პუბლიკაციები თუ პედაგოგთა პროფესიული ლიტერატურა. (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, კითხვა, ზოგადი აღწერა, B2). პედაგოგს უნდა შეეძლოს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება „გაცნობითი – ტექსტის კითხვა ზოგადი შინაარსის გასაგებად, შესწავლითი – ტექსტის კითხვა მისი დეტალური გაგების მიზნით, ძიებითი – ტექსტის კითხვა რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.ზ.).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს

- სხვადასხვა სახის ტექსტების გაგება, იქნება ეს „შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტები (კულტურის, ბუნებისმეტყველების და სხვ. სფეროებიდან)“, თუ მას-მედიაში მოცემული ტექსტები („ინტერვიუ, რეპორტაჟი, ტელეპროგრამა, ქრონიკა, კომიქსი, აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, მკითხველის გამოხმაურება და სხვა“) თუ პრაგმატული სახის ტექსტები („კულინარული რეცეპტი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, აბრა, რეცეპტი, ტელერადიოპროგრამა, უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი წარწერა, მენიუ, ბანკომატის, ან მობილური ტელეფონის ინსტრუქცია და სხვ.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.ბ. გ.გ.: გ.დ.).
- პირადი კორესპონდენციის გაგება („სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის, პირადი წერილის, საქმიანი წერილის (მათი ელექტრონული ვერსიის“) (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, გ.ა.).

#### *მიმართულება წერა*

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით მკაფიო და დეტალური ტექსტების დაწერა, არგუმენტების მოყვანა და განსხვავებული არგუმენტების ურთიერთშედარება. (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, წერა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს

- წერილების დაწერა, „მიმოწერა, (ღია ბარათი, პირადი წერილი, საქმიანი წერილი და მათი ელექტრონული ვერსიები) და წერილის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.ბ.).
- პირადი პოზიციის დაფიქსირება და არგუმენტებით გამყარება, „საკუთარი შეხედულების, დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა და დასაბუთება, პრობლემის წერილობით გამოსატყა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.ვ.).
- გრამატიკულად, სტილისტურად და ასევე ფორმალურად გამართული ტექსტის შედგენა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, დ.ი.; დ.ლ.).

#### *მიმართულება ლაპარაკი*

ენობრივი კომპეტენციის ამ საფეხურზე პედაგოგს მოეთხოვება გარემოებებისა და სიტუაციების მკაფიოდ და დეტალურად აღწერა, სათანადო დეტალებზე დაყრდნობით ძირითადი საკითხების გამოკვეთა და მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოჩენა. (შდრ. ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო, წერა, ზოგადი აღწერა, B2).

ტესტში შესული საგამოცდო დავალებები ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს

- „ბუნებრივად, დაუბრკოლებლად, შესაბამისი გამოთქმით გაბმულად ლაპარაკი და უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.ა.).
- ინტერაქციაში მონაწილეობა და არგუმენტირებული მსჯელობა, „დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება, დამტკიცება, რჩევის მიცემა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.გ.: ბ.გ.).
- ლაპარაკისას „ენობრივი - ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა“, უცხო ენების ფონეტიკური სისტემის ცოდნა (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.კ.).
- „საკუთარი გრძნობების გამოხატვა და ოცნებების, იმედების, მიზნების გადმოცემა“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, ბ.დ.).

### გრამატიკა

გრამატიკის სფეროში პედაგოგის ცოდნა მოიცავს შემდეგ ასპექტებს (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი XVII, მუხლი 43, 4,5,6,7).

### ინგლისური ენა

**არსებითი სახელი - Noun**

რიცხვი – Number

ბრუნება – Case

კონკრეტული/აბსტრაქტული - Concrete/Abstract

თვლადი/უთვლადი - Countable/Uncountable

**არტიკლი – Article**

განსაზღვრული/განუსაზღვრელი/ნულოვანი – Definite/Indefinite/Zero

**ნაცვალსახელი - Pronoun**

ჩვენებითი – Demonstrative

პირის – Personal

კუთვნილებითი – Possessive

მიმართებითი – Relative

კითხვითი – Interrogative

განუსაზღვრელი – Indefinite

უკუქცევითი/ემფატიკური – Reflexive/Emphatic

**ზედსართავი სახელი - Adjective**

შედარების ხარისხები – Degrees of comparison

**ზმნიზედა – Adverb**

ზმნიზედის სახეები – Types of adverbs (place, time, degree ....)  
შედარების ხარისხები – Degrees of comparison

რიცხვითი სახელი - Numeral  
რაოდენობითი/რიგობითი - Cardinal/Ordinal

წინდებული – Preposition  
წინდებულის სახეები - Types of prepositions (position, direction. . .);

კავშირები და მაკავშირებელი სიტყვები – Conjunctions and linking words

სიტყვათწარმოქმნა - Word-building  
სუფიქსები /პრეფიქსები – Suffixes /Prefixes

### ზმნა - Verb

წესიერი/არაწესიერი – Regular/ Irregular  
პირიანი/უპირი – Finite / Non-finite  
გარდამავალი/გარდაუვალი – Transitive / Intransitive  
სრულმნიშვნელოვანი/დამხმარე – Main / Auxiliary  
მოდალური – Modal  
ფრაზული – Phrasal  
გვარი – Voice: Active/Passive  
კილო – Mood: Indicative/Subjunctive

დროის ფორმები - Tense Forms  
Present, Past, Future Simple  
Present, Past, Future Continuous  
Present, Past, Future Perfect  
Present, Past Perfect Continuous

### წინადადების სახეები – Types of a Sentence

მტკიცებითი/უარყოფითი/კითხვითი /ბრძანებითი -Affirmative/Negative/Interrogative/Imperative  
მარტივი/რთული თანწყობილი/რთული ქვეწყობილი - Simple/ Compound/Complex  
პირობითი წინადადებები – Conditional sentences 1,2,3  
წინადადების წევრები - Parts of a sentence

### რუსული ენა

#### Морфология მორფოლოგია

#### Имя существительное - არსებითი სახელი

Разряды имен существительных (конкретные, абстрактные, вещественные, собирательные, разносклоняемые, несклоняемые)  
Постоянные признаки: одушевленные, неодушевленные, собственные, нарицательные, род  
Непостоянные признаки: число, падеж  
Типы склонения  
Правописание имен существительных

#### Имя прилагательное - ზედსართავი სახელი

Формы имен прилагательных

Разряды имен прилагательных (качественные, относительные, притяжательные)

Степени сравнения

Непостоянные признаки: полное или краткое, степень сравнения, род, число, падеж

Правописание имен прилагательных

### **Имя числительное - რიცხვითი სახელი**

Простые, сложные, составные

Разряды имен числительных (количественные, порядковые, собирательные, дробные)

Непостоянные признаки: род, число, падеж

Склонение числительных

Синтаксическая роль: количественные – любой член предложения, порядковые – определение и т.д.

Правописание имен числительных

### **Местоимение - ნაცვალსახელი**

Разряды местоимений (личные, вопросительные, относительные, притяжательные, указательные, определительные, неопределенные, отрицательные, возвратное)

Склонение местоимений

Непостоянные признаки: лицо (только у личных), падеж, число, род

Правописание местоимений

### **Глагол и отглагольные формы - ზმნა და ზმნური კატეგორიები**

#### **Глагол - ზმნა**

Инфинитив

Постоянные признаки: вид, спряжение, переходность

Непостоянные признаки: наклонение, число, время, лицо, род

Спряжение, разноспрягаемые глаголы

Разряды глаголов ( глаголы движения и т.д.)

Правописание глаголов

#### **Причастие - მიმდებარე**

Постоянные признаки: время, залог, вид

Непостоянные признаки: форма (краткая, полная), род, число, падеж

Склонение

Правописание причастий

#### **Деепричастие - აბსოლუტივი**

Постоянные признаки: неизменяемая форма, вид, переходность

Правописание деепричастий

#### **Наречие - ზმნიზება**

Разряды наречий (места, времени, образа действия и т.д.)

Категория состояния

Правописание наречий

#### **Предлог - თანდებული**

Непроизводные, производные

#### **Частица - ნაწილაკი**

Формообразующие, отрицательные, модальные

**Союз - კავშირი**

Сочинительные, подчинительные

**Междометие - შორისდებულო**

Непроизводные, производные

**Орфография - ორთოგრაფია**

Безударные гласные в корне слова

Согласные в корне слова

Гласные и согласные в приставках

Гласные после шипящих и Ц

Гласные И, Ы после Ц

Гласные (не после шипящих) в суффиксах существительных, прилагательных, глаголов и причастий

Согласные (кроме Н) в суффиксах существительных и прилагательных

Гласные Е и И в окончаниях слов

Одна и две буквы Н в суффиксах

Буквы Ъ и Ь

Употребление заглавных букв

Различие на письме приставок НЕ- и НИ- в местоимениях и наречиях и частиц НЕ и НИ

Слитное и раздельное написание омонимичных самостоятельных и служебных слов

Непроверяемые орфограммы в словах

Перенос слова

Соединительные гласные в сложных словах

**Синтаксис и пунктуация - სინტაქსი და პუნქტუაცია**

**Словосочетание - შესიტყვება**

**Простое предложение - მარტივი წინადადება**

Подлежащее и способы его выражения

Сказуемое и способы его выражения

Второстепенные члены предложения

Виды простых предложений по цели высказывания, по эмоциональной окраске, по наличию главных членов, по наличию (отсутствию) второстепенных членов

Знаки препинания в конце предложения

Тире в простом предложении

Простое осложненное предложение

Однородные члены, знаки препинания при однородных членах

Обособленные члены, знаки препинания при обособленных членах

Обращение и междометия, знаки препинания в предложениях с обращением и междометиями

Вводные слова, вводные и вставные конструкции, знаки препинания в предложениях с вводными словами, вводными и вставными конструкциями

**Сложное предложение - რთული წინადადება**

Сложносочиненное предложение, знаки препинания в сложносочиненном предложении

Сложноподчиненное предложение

Виды сложноподчиненных предложений по значению, знаки препинания в сложноподчиненном предложении

Типы бессоюзных предложений, знаки препинания в бессоюзном предложении

**Чужая речь - პირდაპირი და ირიბი ნათქვამი**

Прямая речь, знаки препинания в предложениях с прямой речью



Косвенная речь, знаки препинания в предложениях с косвенной речью  
Цитата, знаки препинания в цитатах

**Диалог - დიალოგი**

Отделение друг от друга реплик в диалоге

**Фонетика - ფონეტიკა**

Образование звуков языка

Гласные звуки

Согласные звуки

Чередование звуков

Роль ударения в словах

**Орфоэпия - ორთოეპია**

Произношение отдельных звуков, звукосочетаний, некоторых грамматических форм

Ударение

**Словообразование - სიტყვაწარმოება**

Способы словообразования

**Лексика - ლექსიკა**

Лексическое значение слова (однозначные, многозначные слова, прямое и переносное значение слов, омонимы, синонимы, антонимы)

Общеупотребительные и неупотребительные слова (диалектные, профессиональные и т.д.)

Фразеология

**Текст - ტექსტი**

Признаки текста

Типы текста

**ფრანგული ენა**

**არსებითი სახელი - le nom**

სქესი: მდედრობითი/მამრობითი - Le genre du nom : masculin/féminin

რიცხვი: მხოლოდობითი/მრავლობითი - Le nombre du nom : singulier/pluriel

**არტიკლი - L'article**

განუსაზღვრელი არტიკლი L'article indéfini განსაზღვრული არტიკლი L'article défini

შერწყმული არტიკლი L'article contracté

ნაწილობითი არტიკლი L'article partitif

### **ზედასართავი სახელი - L'adjectif**

თვისებითი ზედსართავი სახელი L'adjectif qualificatif

სქესი: მდედრობითი/მამრობითი Le genre de l'adjectif : masculin/féminin

რიცხვი: მხოლობითი/მრავლობითი Le nombre de l'adjectif : singulier/pluriel

შედარებითი და აღმატებითი ხარისხები Le comparatif et le superlatif

ნაცვალსახელოვანი ზედსართავი სახელები Les adjectifs pronominaux

კუთვნილებითი L'adjectif possessif

ჩვენებითი L'adjectif démonstratif

განუსაზღვრელი L'adjectif indéfini

კითხვითი L'adjectif interrogatif

რიცხვითი ზედსართავი სახელები Les adjectifs numéraux

რიგობითი Les adjectifs numéraux cardinaux

რაოდენობითი Les adjectifs numéraux ordinaux

### **ნაცვალსახელი - Le pronom**

მახვილიანი და უმახვილო პირის ნაცვალსახელები - Les pronoms personnels atones et toniques

ზმნიზედური ნაცვალსახელი - y და en Les pronoms personnels adverbiaux y et en

ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი თხრობით და

ბრძანებით კილოში - La place des pronoms personnels compléments à l'indicatif et à l'impératif

კუთვნილებითი - Les pronoms possessifs

ჩვენებითი - Les pronoms démonstratifs

განუსაზღვრელი - Les pronoms indéfinis

კითხვითი - Les pronoms interrogatifs

მიმართებითი - Les pronoms relatifs

### **ზმნა Le verbe**

I, II და III ჯგუფის ზმნები - Les trois groupes de verbe

La syntaxe du verbe (les verbes intransitifs, transitifs directs/indirects, verbes à double construction)

Forme active/passive, Forme pronominale, Forme impersonnelle

დამხმარე ზმნები - Les deux auxiliaires

ზმნის პასიური ფორმა - La forme passive

უკუქცევითი ზმნები - La forme pronominale

უპირო ზმნები - La forme impersonnelle

თხრობითი კილო და მისი დროები - Le mode indicatif et ses temps

ახლანდელი დროის გამოხატვა - L'expression du présent

აწმყო - Le présent

მომავალი დროის გამოხატვა - L'expression du futur

მარტივი მომავალი - Le futur simple

უახლოესი მომავალი - Le futur proche

წინარე მომავალი - Le futur antérieur

წარსული დროის გამოხატვა - L'expression du passé

ნამყო უწყვეტელი - L'imparfait

წყვეტილი - Le passé composé

წინარე წარსული - Le plus-que-parfait

მარტივი წარსული - Le passé simple

მიმართება ნამყო უწყვეტელი/წყვეტილი - Les relations imparfait/passé composé

მიმართება ნამყო უწყვეტელი - Les relations imparfait/passé simple  
დროთა შეთანხმება თხრობით კილოში - La concordance des temps à l'indicatif

კავშირებითი კილო - Le mode subjonctif  
წარმოება - Formation  
აწმყო კავშირებითი - Le subjonctif présent /passé  
დროთა შეთანხმება კავშირებით კილოში - Concordance des temps au subjonctif

პირობითი კილო - Le mode conditionnel  
წარმოება - Formation  
პირობითი კილოს დროები - Les temps du conditionnel  
აწმყო - Le présent  
წარსული - Le passé

ბრძანებითი კილო - Le mode Impératif  
წარმოება - Formation  
ფუნქციები - Valeurs et emplois

ზმნის უპირო ფორმები - Les formes verbales impersonnelles: infinitif et participe  
საწყისი - L'infinitif  
მიმღობა - Le participe  
აწმყო მიმღობა - Le participe présent  
გერუნდივი - Le gérondif

**ზმნიზედა - L'adverbe**  
ადგილის ზმნიზედა - L'adverbe de lieu  
დროის ზმნიზედა - L'adverbe de temps  
რაოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედა - L'adverbe de quantité  
ვითარების აღმნიშვნელი ზმნიზედა - L'adverbe de manière  
მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი ზმნიზედა - L'adverbe d'affirmation, de négation, d'interrogation  
შედარებითი და აღმატებითი ხარისხები - Le comparatif et le superlatif

**წინდებულები - La préposition**  
მარტივი და რთული - Les prépositions simples et les locutions prépositives

